



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

დიდი პალატა

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება

აბდი იბრაჰიმი ნორვეგიის წინააღმდეგ

(განაცხადი N [15379/16](#))

სამართლებრივი შეჯამება

არაოფიციალური თარგმანი

**მომზადებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს და
ანალიტიკური სამსახურის მიერ.**

10 დეკემბერი, 2021 წელი

გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები, რომლებმაც გამოიწვია დედასა და შვილს შორის კავშირის შემცირება, ბიოლოგიური დედის და მშვილებლების განსხვავებული კულტურული და რელიგიური შეხედულებების კონტექსტში.

ფაქტობრივი ბარემოგაბი

განმცხადებელი არის სომალის მოქალაქე (ქალი), რომელსაც 2010 წლის ივნისში ნორვეგიაში მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი. მას თან ახლდა შვილი, X, რომელიც რამდენიმე თვით ადრე კენიაში დაიბადა. 2010 წლის დეკემბერში სოციალურმა სამსახურმა X მოათავსა გადაუდებელი დახმარების ცენტრის მზრუნველობაში. ამავე თვეში სოციალური ზრუნვის საბჭომ მიღო გადაწყვეტილება ბავშვის ჩვეულებრივ მინდობით აღზრდაში განთავსების შესახებ ქრისტიანულ ოჯახში, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი (დედა) მოითხოვდა ბავშვის გადაცემას მისი ბიძაშვილებისთვის ან სომალელი ან მუსლიმი ოჯახისთვის. განმცხადებელს მიენიჭა X-თან წელიწადში ოთხი საკონტაქტო სესიით სარგებლობის უფლება, სოციალური აგენტის დაკვირვების ქვეშ. განმცხადებელმა აღნიშნული გადაწყვეტილება 2011 წლის სექტემბერში გაასაჩივრა საოლქო სასამართლოში. სასამართლომ ძალაში დატოვა მინდობით აღზრდაში განთავსების შესახებ გადაწყვეტილება, თუმცა განმცხადებელს გაუზარდა შვილთან კონტაქტის საათები - ექვსი ერთსაათიანი შეხვედრა წელიწადში. დედას სხვა საჩივარი სასამართლოში არ შეუტანია.

2013 წლის სექტემბერში სოციალური ზრუნვის ორგანომ განცხადება შეიტანა მინდობით აღზრდელი ოჯახის მიერ X-ის შვილად აყვანის თაობაზე, რის შედეგადაც განმცხადებელს აღარ ექნებოდა შვილთან კონტაქტის უფლება და ჩამოერთმეოდა მშობლის უფლებები. განმცხადებელმა ეს აქტი გაასაჩივრა: იგი არ ითხოვდა შვილის დაბრუნებას, მაგრამ მოითხოვდა მასთან ურთიერთობის შენარჩუნებას, რათა X-ს არ გაეწყვიტა კავშირი საკუთარ კულტურულ და რელიგიურ საწყისებთან. პირველი ინსტანციის სასამართლომ 2015 წლის მაისში გასცა თანხმობა X-ის შვილად აყვანის თაობაზე, მას შემდეგ, რაც განიხილა, სხვებს შორის, შვილების ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ასპექტები. განმცხადებელს სასამართლომ არ დართო ნება, საკასაციო საჩივრით მიემართა უზენაესი სასამართლოსთვის.

განმცხადებელმა მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, კონვენციის მე-8 და მე-9 მუხლების დარღვევის დადგენის მოთხოვნით. მისი საჩივარი ასევე ეყრდნობოდა პირველი ოქმის მეორე მუხლს. 2019 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით ევროპული სასამართლოს პალატამ ერთხმად დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. 2020 წლის 11 მაისს კი, განმცხადებლის მოთხოვნით, საქმე გადაეცა დიდ პალატას.

სამართლებრივი შეფასება

(ა) გადაწყვეტილების ფარგლები - ევროპული სასამართლოს პალატის მიერ საქმის დასაშვებობასთან დაკავშირებით მიღებული განჩინებით დადგენილი ფარგლების შესაბამისად, დავა შეეხება განმცხადებლის საჩივარს მშობლის უფლების ჩამორთმევასა და

მისი შვილის გაშვილებასთან დაკავშირებით, რაც უკავშირდება ეროვნულ დონეზე 2013-2015 წლებში მიმდინარე სამართალწარმოებას. თუმცა, სასამართლო მხედველობაში იღებს სამართალწარმოებას და გადაწყვეტილებებს, რომლებიც განმცხადებლისთვის შვილთან საკონტაქტო საათების განსაზღვრის კონტექსტში იქნა მიღებული 2010-2011 წლებში.

(ბ) განმცხადებლის საჩივრის სამართლებრივი ბუნება - განმცხადებლის საჩივრის თითოეული ასპექტი უკავშირდება ერთსა და იმავე ღონისძიებებს, რომლებიც, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, ცალსახად ხვდება კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში. შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა, რამდენად ექცეოდა განმცხადებლის მოთხოვნები კონვენციის მე-9 მუხლის და პირველი ოქმის მე-2 მუხლის მოქმედების სფეროში. მინდობით აღზრდის შემთხვევებზე ევროპულ სასამართლოს არაერთხელ მოუწია კონვენციის მე-8 მუხლსა და პირველი ოქმის მე-2 მუხლზე მსჯელობა, თუმცა ამ უკანასკნელზე მსჯელობისას ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებებში არ მიუთითებს ამ ნორმის გამოყენების კონტექსტს გარდა იმაზე აპელირებისა, რომ სახელმწიფო ორგანოებმა მხედველობაში უნდა მიიღოს მშობლის შესაბამისი (პირველი ოქმის მეორე მუხლით გარანტირებული) უფლებები. მოცემულ საქმეში ევროპული სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს საჩივრის პირველი ოქმის მე-2 მუხლის ფარგლებში განხილვას, რამდენადაც აღნიშნული ნორმა, ძირითად შემთხვევებში, ეხება რელიგიურ ინსტიტუციურ განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებით სახელმწიფოსთვის დაკისრებულ მოვალეობებს; ამასთან, განმცხადებელს ამ ნორმაზე არ მიუთითებია პალატის მიერ განჩინების მიღებამდე.

რაც შეეხება კონვენციის მე-9 მუხლს, კერძოდ, მშობლის უფლებას - აღზარდოს შვილი საკუთარი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისად, იგი მოიაზრება, როგორც „რელიგიის ან რწმენის ... სწავლების, აღმსარებლობის და წესებისა და რიტუალების აღსრულების“ უფლების გამოვლინება. ცალსახაა, რომ როდესაც ბავშვი ბიოლოგიურ მშობელთან ერთად ცხოვრობს, მშობელს შეუძლია საკუთარი მე-9 მუხლით დაცული უფლების რეალიზება ყოველდღიურად, მე-8 მუხლით დაცული უფლებით სარგებლობის პროცესში. ამ უფლებებით სარგებლობის გაგრძელების საშუალება მშობელს გარკვეულწილად შეიძლება ჰქონდეს მაშინაც, როდესაც ბავშვი სავალდებულო წესით გადადის მინდობით აღზრდაში: მაგალითისთვის, მშობლის მიერ პასუხისმგებლობების აღების ან ბავშვთან ურთიერთობის უფლებით სარგებლობისას, რაც მიზნად ისახავს მშობლის და ბავშვის გაერთიანების ხელშეწყობას. ბუნებრივია, რომ სავალდებულო მინდობით აღზრდაში გადაყვანის შემდეგ ბიოლოგიურ მშობელს ეზღუდება რელიგიური ან/და ფილოსოფიური შეხედულებების გამოხატვის თავისუფლება ბავშვის აღზრდის პროცესში. მიუხედავად ამისა, სასამართლომ უნდა იმსჯელოს განმცხადებლის საჩივარზე იმასთან დაკავშირებით, რომ მინდობით აღზრდისთვის შერჩეული ოჯახი არ შეესაბამებოდა განმცხადებლის მოთხოვნას, რომ მისი შვილი აღზრდილიყო დედის რწმენის შესაბამისად. აღნიშნული მოთხოვნა იყო ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების (მე-8 მუხლი) ფარგლებში წარმოდგენილი საჩივრის განუყოფელი ნაწილი, რომელიც მე-9 მუხლის პრიზმაში უნდა გაანალიზებულიყო. შესაბამისად, იგი ვერ განიხილებოდა, როგორც ცალკეული საკითხი კონვენციის მხოლოდ მე-9 მუხლის მოქმედების სფეროში.

(გ) მე-8 მუხლი მე-9 მუხლის კრილში - სადავო ღონისძიებები მოიცავდა განმცხადებლის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას, რომელიც განხორციელდა კანონის შესაბამისად და ემსახურებოდა მისი შვილის „ჯანმრთელობის და მორალის“ და „უფლებების“ დაცვის ლეგიტიმურ მიზნებს. აქედან გამომდინარე, არსებით პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა, რამდენად იყო აღნიშნული ღონისძიებები „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, მათ შორის, ეროვნულმა ორგანოებმა რამდენად მიიღო მხედველობაში განმცხადებლის ინტერესები, რომლებიც მე-9 მუხლითაა დაცული. ასეთი მიდგომა თანხვედრაშია, inter alia, გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-20(3) მუხლთან, რომლის თანახმადაც, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის რელიგიურ, ეთნიკურ და კულტურულ წარმომავლობას. ეს სტანდარტი არსებითად ეხმიანება ევროპული კონვენციის მოთხოვნებს და მათთან თანხვედრაშია.

ნორვეგიის უმაღლესმა სასამართლომ გაიზიარა განმცხადებლის იმდროინდელი პოზიცია, რომლის თანახმადაც მინდობით აღზრდაში ყოფნის პერიოდის გაგრძელება X-ის საუკეთესო ინტერესებს შეესაბამებოდა. როგორც ჩანს, განმცხადებლის ინტერესი, თავიდან აერიდებინა სადავო სამართალწარმოების შედეგად X-ის გაშვილება, უპირველესად მომდინარეობდა ამ ღონისძიების საბოლოო და გადამწყვეტი ბუნებიდან, რაც მისი შვილის რელიგიური მრწამსის შეცვლას გამოიწვევდა, განმცხადებლის სურვილის საწინააღმდეგოდ. გამომდინარე იქიდან, რომ მინდობით აღზრდელს არ სურდათ ე.წ. „ღია შვილება“ - რაც გულისხმობს შვილად აყვანის შემდეგ ბიოლოგიური მშობლისთვის ბავშვთან საკონტაქტო ვიზიტების განსაზღვრას - გაშვილება ნიშნავდა იმას, რომ განმცხადებელი დაკარგავდა შვილთან კონტაქტის უფლებას როგორც ფაქტობრივად, ისე - იურიდიულად. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლისთვის მისაღები იყო X-ის განგრძობად მინდობით აღზრდაში დატოვება და მიუხედავად იმისა, იყო თუ არა გამართლებული შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ X-ის მინდობით აღზრდაში ხანგრძლივად დატოვება თუკი მას შვილად არ აიყვანდნენ, განმცხადებელს და მის შვილს უნარჩუნდებოდათ კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება. ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა ოჯახის გაერთიანების მოთხოვნით არ მიმართა სახელმწიფოს, ამ უკანასკნელს არ ათავისუფლებდა ზოგადი ვალდებულებისგან - გაეთვალისწინებინა X-ის საუკეთესო ინტერესი, რაც მოიცავდა განმცხადებელთან ოჯახური და პიროვნული კავშირის შენარჩუნებას და შესაბამისად, მათთვის ურთიერთობის შესაძლებლობის მიცემას იმგვარად, როგორც ეს იქნებოდა გონივრული და X-ის საუკეთესო ინტერესების შესაბამისი.

სამართალწარმოება სოციალური უზრუნველყოფის საბჭოს და ეროვნული სასამართლოების წინაშე იყო დეტალური და ამომწურავი და, inter alia, მოიცავდა ექსპერტი ფსიქოლოგების ჩვენებებს. თუმცა, მშობლის უფლების ჩამორთმევასთან და შვილად აყვანაზე თანხმობის გაცემასთან დაკავშირებით ეროვნული ორგანოების გადაწყვეტილებების მიღების პროცესი ცხადყოფს, რომ ამ ორგანოებმა რეალურად არ სცადეს ბავშვის და მისი ბიოლოგიური ოჯახის ინტერესების დაბალანსება. ამ კონტექსტში, ევროპული სასამართლო არ მიიჩნევს, რომ შესაბამისმა ეროვნულმა ორგანოებმა სათანადოდ მიიღეს მხედველობაში იმ ფაქტის პოტენციური მნიშვნელობა, რომ განმცხადებელს არ მოუთხოვია ბავშვის მინდობით

აღზრდაში ყოფნის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება, არამედ ეწინააღმდეგებოდა მხოლოდ მის შვილად აყვანას, რამდენადაც სურდა შვილთან ურთიერთობის უფლების შენარჩუნება.

გამომდინარე იქიდან, რომ ნორვეგიის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება დიდწილად ეყრდნობოდა შეფასებას მინდობით აღზრდელი ოჯახის მიმართ X-ის მიჯაჭვულობის შესახებ, ამ შეფასების გაკეთებისას გამოყენებულმა ფაქტობრივმა გარემოებებმა გამოავლინა გადაწყვეტილების მიღების პროცესში არსებული ხარვეზები. სასამართლოს შეფასება გაკეთდა ისეთ პირობებში, როდესაც განმცხადებელს და X-ს შორის ფაქტობრივად ძალიან მცირე კონტაქტი იყო X-ის დაბადებიდან მის მინდობით აღზრდაში განთავსებამდე. ბავშვსა და დედას შორის იშვიათი კონტაქტი წარმოადგენდა მხოლოდ არასაკმარის მტკიცებულებას ცალსახა დასკვნის გასაკეთებლად იმის შესახებ, შეესაბამებოდა თუ არა X-ის საუკეთესო ინტერესებს მომავალში ბიოლოგიურ დედასთან ურთიერთობის უფლების ჩამორთმევა. გარდა ამისა, სადავო გადაწყვეტილება არსებითად იყო ორიენტირებული X-ის აღზრდელი ოჯახისგან ჩამოშორების და განმცხადებელთან დაბრუნების პოტენციურ უარყოფით შედეგებზე, ნაცვლად განმცხადებელსა და ბავშვს შორის ყოველგვარი კონტაქტის გაწყვეტის საფუძვლებზე ფოკუსირებისა. შესაბამისად, უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აღზრდელი მშობლების უარს „ღია გაშვილებაზე“, ვიდრე განმცხადებლის ინტერესს, ჰქონოდა შვილთან ურთიერთობის გზით ოჯახური ცხოვრების გაგრძელების საშუალება. ევროპული სასამართლოსთვის ასევე მიუღებელი აღმოჩნდა ეროვნული სასამართლოების მხრიდან ხაზგასმა იმის თაობაზე, რომ განმცხადებელს მომავალში არ ჰქონოდა მინდობით აღზრდის ან საკონტაქტო პირობების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ განმეორებითმა სამართალწარმოებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ბავშვს, ბიოლოგიური მშობლის მიერ სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენება ავტომატურად ვერ ჩაითვლება გაშვილებაზე ნებართვის გაცემის მხარდამჭერ ფაქტორად; მშობლის მიერ პროცედურული უფლებებით სარგებლობა წარმოადგენს მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების განუყოფელ ნაწილს.

უმაღლესმა სასამართლომ მიუთითა, რომ საჭირო იყო X-ის აღზრდელი ოჯახის მიმართ მიჯაჭვულობის ინტერესის და ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ასპექტების დაბალანსება, განსაკუთრებით, განმცხადებლის და პოტენციურ მშვილებელთა განსხვავებული რელიგიური მიკუთვნებულობის გათვალისწინებით. ამ კუთხით ეროვნულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო ორი ექსპერტის ჩვენება, განიხილა საერთაშორისო სამართლებრივი წყაროები - უპირველესად, გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-20(3) მუხლი - და იმსჯელა იმაზე, თუ როგორ აღიქვამდა განმცხადებელი ბავშვის გაშვილებას, მისი რელიგიური ფასეულობების გათვალისწინებით. უმაღლესი სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ქვეყანაში იყო შვილად აყვანის მსურველი რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი ოჯახების სერიოზული სიმცირე, ამასთან, შვილად აყვანის მსურველი არცერთი ოჯახის კულტურული წარმომავლობა არ იყო განმცხადებლის მსგავსი. გარდა ამისა, უმაღლესმა სასამართლომ გამოიკვლია ის ფასეულობები, რომლებიც სავარაუდო გაშვილების პერიოდში შეიძლებოდა ჰქონოდა X-ს, მინდობით აღზრდაზე პასუხისმგებელი ოჯახის მიერ აღზრდის კონტექსტში, და მიიჩნია, რომ განსახილველ რელიგიურ აზრთა სხვადასხვაობას

სირთულეების შექმნა შეეძლო მინდობით აღზრდის გაგრძელების შემთხვევაშიც. ეროვნულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ გადაწყვეტი მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა იმას, თუ რამდენად შექმნიდა შვილად აყვანა სიცხადეს, ხელს შეუწყობდა X-ის იდენტობის ფორმირებას და აქცევდა მას იმ ოჯახის თანასწორუფლებიან წევრად, რომელშიც ცხოვრობდა. დაბოლოს, უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებიდან ირკვევა, რომ 2010 წელს მინდობით აღზრდისთვის ოჯახის შერჩევის შესახებ გაკეთებულმა არჩევანმა არსებითი გავლენა იქონია იმაზე, თუ რა მიიჩნია სასამართლომ X-ის საუკეთესო ინტერესებად 2015 წელს შვილად აყვანის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისას.

ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებების (განმარტებული მე-9 მუხლის კონტექსტში) დაცვა ვერ იქნება გარანტირებული მხოლოდ ისეთი მშვილელბელი ოჯახის პოვნით, რომელიც მის კულტურულ და რელიგიურ წარმომავლობას შეესაბამება. ამ კუთხით, სახელმწიფო ორგანოებს ჰქონდათ ქმედების და არა - შედეგის ვალდებულება. წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალების საფუძველზე, სასამართლოს ექვეყემ არ დაუყენებია ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ არაერთხელ, თუმცა უშედეგოდ სცადა X-ისთვის ამ პერსპექტივით უფრო შესაფერისი ოჯახის შერჩევა. მიუხედავად ამისა, როგორც ეს ევროპული სასამართლოს პალატამ დაადგინა, განმცხადებლისთვის შვილთან რეგულარული კონტაქტის საშუალების მიცემის ჭრილში გამოყენებულმა ღონისძიებებმა, რომელთა კულმინაციაც X-ის გაშვილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება იყო, სათანადოდ ვერ გაითვალისწინა განმცხადებლის ინტერესი - მის შვილს ჰქონოდა საკუთარ კულტურულ და რელიგიურ საწყისებთან მცირე კავშირის შენარჩუნების საშუალება მაინც.

შესაბამისად, სადავო გადაწყვეტილების დასაბუთებლად მოყვანილი არგუმენტები საკმარისად ვერ ცხადყოფდა, რომ მოცემული საქმის გარემოებების საგამონაკლისო ხასიათი ამართლებდა X-სა და განმცხადებელს შორის კავშირის სრულ და საბოლოო გაწყვეტას, ან რომ ასეთი შედეგის მომტანი გადაწყვეტილება განპირობებული იყო X-ის უპირატესი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მოთხოვნებით. უფლებაში ჩარევის სიმძიმიდან და განსახილველი ინტერესების სერიოზულობიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომელსაც შედეგად მოჰყვა განმცხადებელსა და მის შვილს შორის კავშირის სრულად გაწყვეტა, არ იყო წარმართული იმგვარად, რომ შესაბამის ორგანოებს სათანადოდ გაეთვალისწინებინა განმცხადებლის მოსაზრებები და ინტერესები.

დასკვნა: დარღვევა (ერთხმად)

მუხლი 46: ზოგადად, ამ ტიპის საქმეებში ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს უმთავრესი თვალსაზრისი, რომელსაც ევროპული სასამართლო გაითვალისწინებს ინდივიდუალური ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. X და მისი აღმზრდელი მშობლები ამჟამად ეწევიან ოჯახურ ცხოვრებას, ინდივიდუალური ღონისძიების გამოყენება კი იქნება ჩარევა მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში.

შესაბამისად, კონვენციის 46-ე მუხლის გამოყენებამ, შესაძლოა, წარმოშვას ისეთი პრობლემები, რომელთა განხილვის საშუალებაც ევროპულ სასამართლოს მოცემული გადაწყვეტილების ფარგლებში არ ჰქონია. გარდა ამისა, განმცხადებელს არ მოუთხოვია რაიმე უფრო ზოგადი ხასიათის ღონისძიების გატარება, სახელმწიფომ კი, თავის მხრივ, მიუთითა, რომ მუშაობდა იმ გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე, რომლებშიც ევროპულმა სასამართლომ ბავშვთა კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა და ამ კუთხით მიმდინარეობდა საკანონმდებლო ცვლილებები. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ საჭიროდ არ მიიჩნია კონვენციის 46-ე მუხლით გათვალისწინებული რაიმე ღონისძიების გამოყენება.

მუხლი 41: ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა განმცხადებელს არ დაუფიქსირებია.